

ნანათესაობითაჲი მსაზღვრელი სახელის შტამანებაჲ

საზღვრელთა ბანუაჲი

(წიგნს ამხანაგისას თუ წიგნს ამხანაგისაჲ?)

1. ნათესაობით ბრუნვაჲი დასმული მსაზღვრელი შეიძლება იყოს საზღვრელის წინაც და შემდეგაც როგორც ძველ ქართულში, ისე ახალში.

ა) როცა ნათესაობით ბრუნვაჲი დასმული მსაზღვრელი წინ უსწრებს საზღვრულს, რაც არაიშვიათი მოვლენაა ძველ ქართულში და გაბატონებული წყობაა ახალ ქართულში, მსაზღვრელი ყველა ბრუნვაჲი უცვლელი რჩება. ემპირიკური -ა ნათესაობით ბრუნვაჲი დასმული მსაზღვრელი საზოგადო სახელისა ძველ ქართულში აღკიდებელია, ახალ ქართულში კი იგი აღარ დაერთვის ამავე ბრუნვაჲი დასმულ მსაზღვრულს.

მაგალითები

| ძველ ქართულში: | ახალ ქართულში: |
|-----------------------|----------------|
| სახ. ძმისა წიგნი | ძმის წიგნი |
| მოთხრ. ძმისა წიგნმან | ძმის წიგნმა |
| მიცემ. ძმისა წიგნსა | ძმის წიგნს(ა) |
| მიმართ. ძმისა წიგნად | ძმის წიგნად |
| ნათეს. ძმისა წიგნისა | ძმის წიგნის(ა) |
| მოქმედ. ძმისა წიგნითა | ძმის წიგნით(ა) |
| წოდებ. ძმისა წიგნო | ძმის წიგნო |

ბ) როცა ნათესაობით ბრუნვაჲი დასმული მსაზღვრელი მოსდევს საზღვრულს, რაც ჩვეულებრივი მოვლენაა ძველ ქართულში და იშვიათია ახალში, მსაზღვრელი ეთანხმება საზღვრულს, მიმართულებთის გარდა, ყველა ბრუნვაჲი, ე. ი. იღებს იმავე დაბოლოებებს, რაც საზღვრულს მოეპოვება, ოღონდ ახალ ქართულში გამარტივების შედეგად რიგი თავისებურებები გვაქვს; სახელდობრ: სახელობითსა და ხშირად წოდებითში ბოლოსართები -ი და -გ მოკვეცილია, ნათესაობითი და მოქმედებითი არ გვხვდება, მაგალითები:

| ძველ ქართულში: | ახალ ქართულში: |
|--------------------------|----------------|
| სახ. წიგნი ძმისა | წიგნი ძმისა |
| მოთხრ. წიგნმან ძმისამან | წიგნმა ძმისამ |
| მიცემ. წიგნსა ძმისასა | წიგნს ძმისას |
| მიმართ. წიგნად ძმისა(დ) | წიგნად ძმისა |
| ნათეს. წიგნისა ძმისაჲსა | — |
| მოქმედ. წიგნითა ძმისაჲთა | — |
| წოდებ. წიგნო ძმისაო | წიგნო ძმისა(გ) |

მაგრამ ბოლოუკვეცელ მსაზღვრელებს, ე. ი. ისეთ სახელებს, რომელთაც ნათესაობითში მხოლოდ ბრუნვის ნიშნის თანხზოვნითი -ს ვლემენტი აქვთ შერჩენილი ბრუნვის ნიშნად, სახელობითსა და წოდებითში -ი და -ო ბოლოსართები ენახებათ ახალ ქართულში; მაგალითად:

| | | |
|--------|----------------|----------------------|
| სახ. | წიგნი ნიკოსი | თარგმანი სახოკიასი |
| მოთხრ. | წიგნმა ნიკოსამ | თარგმანმა სახოკიასამ |
| მიცემ. | წიგნს ნიკოსას | თარგმანს სახოკიასას |
| წოდებ. | წიგნო ნიკოსო | თარგმანო სახოკიასო |

2. ზემომოყვანილი სწორი ფორმების პარალელურად თანამედროვე სალიტერატურო ქართულში გვხვდება არასწორი ფორმები, სახელდობრ: ნათესაობით ბრუნვაში დასმული მსაზღვრელი უცვლელი რჩება ყველა ბრუნვაში მსაზღვრელის შემდეგ; ამ შემთხვევაში ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვების ფორმებიც გვხვდება; მაგ.:

| | |
|---------|----------------------|
| სახ. | წიგნი ძმის |
| მოთხრ. | წიგნმა ძმის ან ძმისა |
| მიცემ. | წიგნს ძმის ან ძმისა |
| მიმართ. | წიგნად ძმის |
| ნათეს. | წიგნის ძმის ან ძმისა |
| მოქმედ. | წიგნით ძმით ან ძმისა |
| წოდებ. | წიგნო ძმის |

ამის საილუსტრაციო ორიოდ მაგალითი: „სცოდნოდა ვინაობა იმ ქალიშვილის“ — (ვ. ბარნოვი); თარგმანი ქიქოძის; და დგმა აკ. ვასაძის...

აღსანიშნავია, რომ ნიკ. ბარათაშვილისა, აკაკი წერეთლისა და სხვათა ლექსებშიც ვხვდებით ანალოგიურ ფორმებს: „ნუ დამიტროს სატრფომ გულისა“ — (ნ. ბარათაშვილი); „...უამმან მეფობის მოუვლინა აწ გამოხატვასა ჩემს ყმაწვილობის“ — (მისივე); „... შემეყურეს თქვენს ბედნიერების, ნება ჰქონია“ — (აკაკი) და სხვ.

ამგვარად, თანამედროვე ქართულში გვაქვს პარალელური ფორმები:

| | | |
|---------|---------------------|--------------------------------|
| სახ. | წიგნი ამხანავისა | წიგნი ამხანავის |
| მოთხრ. | წიგნმა ამხანავისამ | წიგნმა ამხანავის ან ამხანავისა |
| მიცემ. | წიგნს ამხანავისას | წიგნს ამხანავის ან ამხანავისა |
| მიმართ. | წიგნად ამხანავისა | წიგნად ამხანავის |
| ნათეს. | — | წიგნის ამხანავის ან ამხანავისა |
| მოქმედ. | — | წიგნით ამხანავის ან ამხანავისა |
| წოდებ. | წიგნო ამხანავისა(ვ) | წიგნო ამხანავის (იშვიათად) |

3. ამ ორი სახეობიდან ერთადერთი ლიტერატურული ფორმაა პირველი სახეობა, რადგანაც იგი

ა) გრამატიკულად სწორია,

ბ) სალიტერატურო ენაში გაბატონებული ფორმაა,

გ) ეგუება ქართული ენის განვითარების ტენდენციას, რამდენადაც მსაზღვრელი ყოველთვის ეთანხმება ბრუნვაში წინ მდგომ საზღვრულს; მაგ.:

| | | | | |
|--------|----------|-------|-------|----------------|
| სახ. | მდინარე | ღრმა | ველი | ფართო |
| მოთხრ. | მდინარემ | ღრმამ | ველმა | ფართომ |
| მიცემ. | მდინარეს | ღრმას | ველს | ფართოს და სხვ. |

დ) აუცილებელია შეთანხმება მაშინ, როცა მსაზღვრელი წარმოდგენილია და საზღვრული იგულისხმება; მაგ.:

მოთხრობითი: დაეითის შვილმა ისწავლა, ვ ა ხ ტ ა ნ გ ი ს ა მ — არა.

მიცემითი: დედის მავიერობას ბიცილა უწევდა, მ ა მ ი ს ა ს კ ი — ბიძა; „ერთი ქ ა ლ ი ს ა ს ამბობენ, მშვენიერება არიო“ — (აკაკი)...

ასეთ შემთხვევაში მიმართულებითშიც კი შეთანხმება გვაქვს: თავის თავს თვლიდა არა სოფლის მცხოვრებლად, არამედ — ქ ა ლ ა ქ ი ს ა დ...

პოსტპოზიტიურად მდგომი მსაზღვრელის ბრუნვაში შეთანხმება საზღვრულ-თან აუცილებელია იმიტომ, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ვიღებთ ე. წ. ლია კონსტრუქციას და არაა გამორიცხული მსაზღვრელის დაკავშირების შესაძლებლობა ფრაზაში სხვა მომღვენო სიტყვასთან: შღრ. ერთმანეთს: წიგნი ძმისა ამხანაგისთვის მიუცია — წიგნი ძმის ამხანაგისთვის მიუცია.

მ ე ო რ ე ს ა ხ ე ო ბ ა, როცა ნათესაობით ბრუნვაში დასმული მსაზღვრელი მოსდევს საზღვრულს, ბრუნვებში არ ეთანხმება და არც ემფატიკური ხმოვანი აქვს დართული, როგორც გრამატიკულად არასწორი, უ ა რ ყ ო ფ ი ლ უ ნ და იქნეს.

მაშასადამე, უნდა ითქვას და დაიწეროს:

სახელ. ქვეყანა სოციალიზმისა, თარგმანი მაჭავარიანისა, დადგმა მარჯანიშვილისა...

მოთხრ. ქვეყანამ სოციალიზმისამ, თარგმანმა მაჭავარიანისამ, დადგამ მარჯანიშვილისამ...

მიცემ. ქვეყანას სოციალიზმისას, თარგმანს მაჭავარიანისას, დადგმას მარჯანიშვილისას.

მიმართ. ქვეყნად სოციალიზმისა, თარგმანად მაჭავარიანისა, დადგმად მარჯანიშვილისა.

ნათეს. —

მოქმედ. —

წოდებ. ქვეყანა(ვ) სოციალიზმისა, პროლეტარებო ყველა ქვეყნისა.

ხოლო უარყოფილია:

| | |
|----------------|--------------------------------|
| მოთხრ. | წიგნმა ამხანაგის ან ამხანაგისა |
| მიცემ. | წიგნს ამხანაგის ან ამხანაგისა |
| მიმართ. | წიგნად ამხანაგის |
| ნათეს. | წიგნის ამხანაგის ან ამხანაგისა |
| მოქმედ. | წიგნით ამხანაგის ან ამხანაგისა |

შენიშვნა. მოთხრობით ბრუნვაში ორი პარალელური ფორმისაგან წიგნმა ამხანაგისამ და წიგნმა ამხანაგისმა, თარგმანმა სახოკიასამ და თარგმანმა სახოკიასმა — უნდა დარჩეს მხოლოდ პირველი (წიგნმა ამხანაგისამ, თარგმანმა სახოკიასამ), მეორე უკუგდებულ უნდა იქნეს.

უნდა აღინიშნოს, რომ საზღვრულის შემდეგ ნანათესაობითარი მსაზღვრელის ხმარების შემთხვევები თანამედროვე ქართულში შედარებით იშვიათია და გამართლებულია მხოლოდ სტილისტიკური და, იშვიათად, სინტაქსური საჭიროებით.

შედარებით აქტუალურია მხოლოდ სახელობითი ბრუნვის ფორმები: დადგმა ა. ვასაძისა, დადგმა ა. ხორავასი, თარგმანი გერონტი ქიქოძისა, თარგმანი კონსტანტინე გამსახურდიასი, მუსიკა ზაქარია ფაღიაშვილისა, მუსიკა იონა ტუხუაძისი.